ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №35

2024 წლის 12 ივლისი

ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმში, ანგისას ქ. №4-ში; ანგისას I ჩიხის №2, №4, №4ა, №4ბ-ში; ანგისის ქ.№2-სა და კობალაძის ქ. №18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №05.32.12.273, №05.32.01.288, №05.32.01.754, №05.32.11.756, №05.32.01.755; №05.32.12.113; №05.32.12.216) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 41-ე და 43-ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ქალაქ ბათუმში, ანგისას ქ. №4-ში; ანგისას I ჩიხის №2, №4, №4ა, №4ბ-ში; ანგისის ქ. №2-ში; კობალაძის ქ. №18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ№ 05.32.12.273, №05.32.01.288, №05.32.01.754, №05.32.11.756, №05.32.01.755; №05.32.12.113; №05.32.12.216) მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობისათვის დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმა, თანახმად დანართისა.

მუხლი 2

კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე (ს/კ:№05.32.12.273, №05.32.01.288, №05.32.01.754, №05.32.11.756, №05.32.01.755) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროქტის მიხედვით გადამეტებული) კ 1/2 მაჩვენებლის 10%-ის ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იმავე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

მუხლი 3

განემარტოს შპს „ემ ბილდინგ ბათუმს“ (ს/№445690271), რომ იგი ვალდებულია არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე საპროექტო ობიექტის სიმაღლე შეათანხმოს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან“.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**